პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

222 (920) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.


## სამხკორთა წერილების შესახებ.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება კორესპონდენცია სათაურით „მეტი ყურადღება სამხკორთა წერილებს“. ეს დიდათ საყურადღებო კორესპოდენცია არის. ავტორი სრულ სიმართლეს ამბობს, როცა ლაპარაკობს სამხკორთა შენიშვნების უყურადღებოთ დატოვების შესახებ. სამხკორი ისეთივე მშენებელი და განმტკიცებელი არის წითელი არმიის, როგორც ყველა მოსამსახურენი. მისი შენიშვნები, რომლებიც თავსდებიან ჩვენს გაზეთში ემსახურება იმავე წითელ ჯარის კეთილდღეობას და გაძლიერებას. ამიტომაც სამხკორის თითეულ კორესპონდენციას, რომელიც აღნიშნავს ნაწილის ამა თუ იმ ნაკლულევანებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ნაწილის მესვეურების მიერ. სამხკორთა კორესპონდენციებს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ნაწილის პარტორგანიზაციამ. სამხკორის თითეულ სამართლიან შენიშვნამ უნდა მიაღწიოს მიზანს ე. ი. მოცემულ კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნას. მართალია რედაქციას ბევრი საბუთები აქვს იმისი, რომ ბევრ ჩვენს ნაწილებში ყურადღება ექცევა სამხკორის შენიშვნებს, მაგრამ ზოგიერთ ნაწილებში კი ასეთები უყურადღებოთ რჩება. ამიერიდან ამას უნდა მოეღოს ბოლო. სამხკორის თითეული მითითება უნდა გახდეს სერიოზული ყურადღების ღირსი, და არა თუ მარტო ჩვენ გაზეთში მოთავსებული კორესპონდენციები, არამედ ნაწილის კედლის გაზეთში გასული სამხკორების შენიშვნებიც.

ამ მხრივ უნდა იზრუნონ როგორც ნაწილის მესვეურებმა, ისე პარტორგანიზაციებმაც. უნდა მივაღწიოთ მას, რომ სამხკორთა წერილები მარტო გაზეთის ფურცლებზე არ რჩებოდენ, არამედ ნამდვილად ხდებოდენ ერთგვარ მიზეზად ყოველგვარი უარყოფითი მოვლენის და ნაკლის გამოსწორებისა. მაშინ სამხკორის მუშაობა უნაყოფოდ არ ჩაივლის და წითელი არმიის გამტკიცების საქმეს მნიშვნელოვან სარგებლობასაც მოუტანს.

მეტი ყურადღება სამხკორების წერილებს!

## თეთრი ტერორის ახალი ტალღა უნგრეთში.

უნგრეთში ამ უკანასკნელ ხანებში დაიწყო კომპარტიის და მუშათა პარტიის სასტიკი დევნა. მთელი უნგრეთის პოლიცია ფეხზეა დამდგარი და გამძლებულ ნადირობას აწარმოებს როგორც მუშათა კლასზე, ისე მის საუკეთესო მოწინავე ნაწილზე. ამ დევნას უნგრეთის ჯალათები ამართლებენ იმ გარემოებით, რომ თითქოს უნგრეთში მზადდებოდა „კომუნისტური გადატრიალება“. ნამდვილათ კი არავითარი ამის მსგავსი. ეს საზიზღარი ცილისწამება უნგრეთის რეაქციონურ ხელისუფლებას ესაჭიროება მხოლოდ თავისი რეპრესიების გასაძლიერებლად და აგრეთვე უნგრეთის სოციალ-გამყიდველების გულის მოსაგებად.

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უნგრეთში დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება. უნგრეთის კონტრრევოლიუციის სისხლის მორევში ჩაახრჩო ახალგაზრდა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა ხოციალ-შემთანხმებელთა ენერგიული დახმარებით.

ათასობით და ათიათასობით გაჟლიტა მხეცებულ რეაქციამ მუშათა კლასის საუკეთესო შვილები. დამარცხების საშინელი დღეები ეხლაც ცოცხალი არიან უნგრეთის მშრომელთა მეხსიერებაში. და თითეული რამ, რაც აგონებს მათ საზარელი წარსულის სისხლიან დღეებს აღშფოთებით და მურისძიებით ავსებს მათ გულს.

ამას წინად უნგრეთის მთავრობიდან გავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ბენიცკი. გასვლის შემდეგ ერთ ერთ გაზეთში მან მოათავსა წერილი, სადაც გამოაქვეყნა მთავრობის ყველა საზიზღრობანი რევოლიუციის ჩაქრობის დროს. ბენიცკიმ აღნიშნა წერილში, რომ უნგრეთის ეხლანდელ მბრძანებელი ხორტას განკარგულებით დახოცილ იქმნა 15.000 მუშა და გლეხი.

ბენიცკის გამომჟღავნებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მშრომელთა ფართე მასებში.

პოლიტიკურად და ეკონომიურად დამონავებულ და დაჩაგრულ უნგრეთის მუშათა კლასისათვის ეს გამომჟღავნება შეიქმნა ერთგვარი გამომაღვიძებელ ძალათ. და იმის მაგივრად რომ ეს ფართო მასიური უკმაყოფილება უნგრეთის სოციალ-დემოკრატიას გამოეყენება მთავრობის წინააღმდეგ, მან ის გამოიყენა თვით მუშათა კლასის, კომპარტიისა და მუშათა პარტიის წინააღმდეგ. მან უფრო ერთგულად ამოუდგა ჯალათურ მთავრობას გვერდში და თავისი მხრივ წააქეზა ის „კომუნისტურ საფრთხის“ წინააღმდეგ საბრძოლველად.

თუ სანამდის მიდის უნგრეთის სოციალ-დემოკრატიის გახრწნილება ამას მოწმობს შემდეგი: სოციალ-დემოკრატიული გაზეთები მთავრობის რეპრესიებთან შეხმატკბილებულად აწარმოებენ ენერგიულ კამპანიას კომუნისტების და მუშათა პარტიის (მუშათა პარტია არის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლიუციონური ფრთა, რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინად ჩამოშორდა მას მუშა—ლიდერების ხელმძღვანელობით) წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატია უნგრეთში ასრულებს პოლიციის აგენტის როლს.

როგორც მთავრობას, ისე სოციალ-დემოკრატიასაც სურს კომუნისტური პარტიის და ყველა რევოლიუციონერების განადგურება.

მისი მიზანია თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს მშრომელთა მასები და ამით რეაქციის ყურმოჭრილ მონად გახადოს ისინი. მაგრამ ეს არ იქნება. უნგრეთის მშრომელი ხალხი, რომელმაც უკვე ერთხელ იგემა თავისი მუშურ-გლეხური დიქტატურა არას დროს არ გაჰყვება სოციალ-გამყიდველებს. რეაქციის დევნა და ტერორი, სოციალ-დემოკრატიის გველური სისინი მხოლოდ უფრო გააძლიერებს მასში რევოლიუციონურ ბრძოლის წყურვილს. უნგრეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც უკვე საკმაოდ აქვს შეთვისებული რევოლიუციონური ბრძოლის სიძნელეები შესძლებს—მუშათა კლასის ყველა რევოლიუციონურ ძალების თავის გარშემო შემოკრებას და უნგრეთის რეაქციონური ხელისუფლების განადგურებას.

—ბ.

# ახალი რადიო-ამბები

## კიდევ ერთი ყალბი წერილი.

რუმინეთის გაზ. „ფაკლას“ ცნობით რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დუკას უყიდია ვიღაც საერთაშორისო ჯაშუშიდან ვითომდა რაკოვსკის წერილი რუმინეთის კომპარტიისადმი. წერილში თითქოს ნათქვამია, რომ გლეხთა პარტიას უნდა შეუწყდეს დახმარება, რომ ამ პარტიის ბელადი ლუპუ სანდო არ არისო და სხვა.

გაზეთი აცხადებს, რომ ეს წერილი ყალბია და რომ ის ნაყიდია სპეციალისტ ყალბი საბუთების მოხელესაგან, რომელიც წევრია ცნობილი ბანდის. ამ ორგანიზაციაში შედის 3 რუსი და 2 პოლონელი, რომლებიც სისტემატიურად ვაჭრობენ ყალბი საბუთებით ხან ერთ, ხან მეორეს სახელმწიფოში.

## რუმინეთის მთავრობა სდევნის გლეხთა პარტიას.

კომუნისტების დევნასთან ერთად რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს საერთო შეტევა გლეხთა პარტიის წინააღმდეგ. მთავრობის მიზანია ხელი შეუშალოს მშრომელებს მომავალ არჩევნებზე მონაწილეობაში. მთავრობის გაზეთები ავრცელებენ ხმებს, რომ გლეხთა პარტია ასრულებს „მოსკოვის კარნახსო“.

## კომუნისტების დევნა უნგრეთში.

უნგრეთის პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა ცალკე პროფკავშირთა სამმართველოებს გამორიცხონ კავშირიდან ყველა კომუნისტობაში შემჩნეული.

...ცნობებია, რომ რამოდენიმე კავშირი უკვე შეუდგა კომუნისტების გამორიცხვას.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ჰგმობენ ამ მოქმედებას და ამ ქამად უადგილოდ სთვლიან ასეთ ნაბიჯებს.

## უნგრეთში გრძელდება მუშათა დაპატიმრება

უნგრეთის პოლიცია განაგრძობს მუშათა დაპატიმრებას, განსაკუთრებით პროვინციებში. დაპატიმრებულთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით ვერაა გარკვეული, ვინაიდან ოფიციალურად გამოქვეყნებული ცნობები სიმართლეს არ შეესაბამება.

## დაპატიმრებულთა წამება.

ვენის გაზეთების ცნობით უნგრეთში დაპატიმრებული მუშები სასტიკად აწამა უნგრეთის პოლიციამ.

თვით სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნეპსავა“, რომელიც გადმოსცემს ცნობებს პოლიციის მხეცური მოქმედების შესახებ, პროტესტს აცხადებს პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ.

## ჯალათთა სასამართლოში.

კიშინევის (ბესარაბიაში) სასამართლოში გრძელდება ბრალდ. გლეხთა დაკითხვა ტატარბუნარის (პროვინცია ბესარაბიაში) მომხდარ აჯანყების გამო. დაკითხვის დროს გლეხები აღნიშნავდენ სასტიკ ძალმომრეობის მაგალითებს მათ მიმართ. როგორც გამოირკვა ტატარბუნარის აჯანყების დროს 70 გლეხი დამწყვდეულ იქნა სარდაფში, სადაც 35 კაცი დაიხრჩვა. ამას გარდა ადმინისტრაცია უმოწყალოდ სცემდა ბრალდებულებს. სასამართლო ხელს უშლიდა ბრალდებულებს სასტიკი ზომების გამომჟღავნებაში, მაგრამ დამცველებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს ამის გამო.

სასამართლომ, რომ საშუალება არ მისცეს ბრალდებულებსა და დამცველებს საქმის სამართლიანად წარმოების, დააჩქარა გასამართლების მსვლელობა. ამის გარდა უცხოელ დამცველების წასვლის შემდეგ სასამართლო პირდაპირ დაუშვებელ ზომებს მიმართავს სხდომებზე.

ბრალდებულთა ჩვენებიდან აშკარა ხდება, რომ ბესარაბიის გლეხთა აჯანყება გამოწვეულია არა მოსკოვის კარნახით, როგორც ამის შესახებ ხმებს ავრცელებდა ბესარაბიის მთავრობა არამედ უკანასკნელის მიერ გამეფებულ სასტიკი რეჟიმით.

## სამხრეთ—სლავიაში მძვინვარებს რეაქცია.

დალმაციაში (სამხრეთ-სლავიაში) დააპატიმრებს 400 მეტი მუშა და გლეხი, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტურ ორგანიზაციაში მუშაობა. რამოდენიმე კაცი უკვე გადაეცა სასამართლოს, რომელსაც არსებული კანონით ასეთი დანაშაულისათვის გათვალისწინებული აქვს სასჯელი 20 წლის ციხიდან დახვრეტამდი.

## პროტესტი ბესარაბიის ტერორის წინააღმდეგ.

გრძელდება უცხოელ მოღვაწეთა პროტესტი ბესარაბიის სასტიკი ტერორის წინააღმდეგ.

საფრანგეთის მოღვაწეთა პროტესტებს შეუერთდენ გერმანიის გამოჩენილი მოღვაწეები და რამოდენიმე მინისტრი.

# ინგლისის პარლამენტის მუშათა ფრაქციის დელეგაცია ტფილისში.

29 სექტემბერს ტფილისში მყოფი ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დელეგაცია გაემგზავრა ზემო ავჭალაში ჰიდრო ელექტრო-სადგურის დასათვალიერებლად.

დელეგაციამ დაათვალიერა სადგური.

დელეგატები მეტად დაინტერესებული იყვნენ სხვა და სხვა საკითხებით სადგურის შესახებ. მათ დაწვრილებით გაიცნეს სადგურის აშენებლობის სხვა და სხვა საკითხები ინჟინერ ჰაჰენისგან.



დელეგაციის თავმჯდომარე უოლხედი.

გაცნობილებულმა მუშაობამ გაკვირვებაში მოიყვანა დელეგატი უოლხედი, რომელმაც ზაჰესის ადმინისტრაციასთან გამოთხოვებისას წარმოთქვა საბჭოთა სტუმართა წინაშე შემდეგი: „ეს უდიდესი ელექტრო წამოწყება—დამამტკიცებელია იმ ახალი, გასხვავებული ცხოვრების, რომლის მაჯის ცემა ისმის მთელ საბჭოთა კავშირში. სადგური შენდება იმ ენერგიითა და გამოცდილებით, როგორსაც დელეგაცია ხედავს საბჭოთა კავშირის ყველა დაწესებულებებში. ეს ნაშენი მუშების და გლეხების რესპუბლიკისთვის ახალ ერას (ხანას). თქვენ ბრწყინვალე მომავალი გელით".

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა მცხეთა და მცხეთის ტაძარი.

# ინგლისის პარლამენტის დათხოვნა აუცილებელია.

მუშათა პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე კრემპა განაცხადა თავის სიტყვაში შემდეგი: „მე არ მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა გადარჩეს ეხლანდელ პარლამენტის დაუთხოვნელად".

# ფაშისტების წინაამდეგ დემონსტრაცია ნიუიორკში.

2000 ადგილობრივ იტალიის კოლონიის წევრებმა მოაწყვეს დემონსტრაცია ფაშისტების დეპუტატების წინაამდეგ რომლებიც ჩამოვიდნენ საპარლამენტო მოღვაწეთა საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებლად. მოხდა შეტაკება ფაშისტების მომხრეთა და დემონსტრანტებთა შორის. ამ შეტაკებაში ორი დაიჭრა.

# დრამწრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

28 სექტემბერს „წითელი არმიისა და ფლოტის სახლის" საზაფხულო შენობაში მოწვეულნი იყვნენ დრამწრეების ხელმძღვანელები ყველა ნაწილებიდან.

თათბირს ქართული ნაწილებიდან მარტო ორი ამხანაგი დაესწრო (სულ 12 კაცი).

დღის წესრიგში იყო: 1) მთელი „არმიისა და ფლოტის სახლი"ს საზამთრო მუშაობის გეგმა. 2) სათეატრო მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და 3) საგარნიზონო დრამატიული დასის შედგენა.

საწარმოო გეგმაში გათვალისწინებულია სამი (რუსული, უკრან. ქართ.) დრამ-წრის მუშაობა სპეციალურ დადგმებზე. ამისთვის უკვე მოწვეულია ორი რუსი რეჟისორი.

ცალკე კამპანიების ჩასატარებლად „წ. არმიისა და ფლოტის სახლთან" დაარსებულია ქართულ-რუსული სექცია,—„წითელი ხიშტის კოლექტივი", აგრეთვე — რუსულ-ქართულ-უკრაინული „არმიელ მწერალთა კოლექტივები".

თათბირმა საჭიროთ სცნო ამ კოლექტივების ურთიერთ დახმარების თანამშრომლობის პრინციპზე ერთი საერთო მიზნის წითელარმიელთა სათეატრო საქმისადმი სამსახური.

„დეკაფი"ს („წ. არმ. და ფლოტის სახლი"ს) თეატრთან განზრახულია მოეწყოს სახელოსნოები: სამხატვრო, საგარდეროპო (კოსტიუმებისა), საპარიკმახერო, სადგამფუტაფორიო და სხვა.

აქვე იქნება ქალთა ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება სათეატრო მუშაობას.

თათბირმა საგარნიზონო დასის შედგენა დროებით შეუძლებლად სცნო და საამისო ძალებისა და პირობების გამოკვლევა განსაკუთრებულ ხუთეულს მიანდო.

თათბირმა აუცილებლად სცნო წითელ ჯარში სათეატრო საქმის გაუმჯობესებისათვის „დეკაფი"-ს თეატრთან—ყველა ნაწილების დრამ-წრეების ხელმძღვანელთა გაერთიანება!

ამ საკითხის მოგვარებაც—იმავე ხუთეულს მიენდო.

საზამთრო მუშაობის ხანა უკვე იწყება!

იმედია, ნაწილები ხრ დაუცდიან „დეკაფი"-სა და სხვათა მუშაობას და თავიანთ საკლუბო მუშაობასაც გააჩაღებენ, სადაც სათეატრო მუშაობას (დრამ-წრეს) დაუთმობენ თავის შესაფერ ადგილს...

სამხკორი ჩვენი.

# საბჭოთა მეზღვაურები ნეაპოლში.

საბჭოთა გემების მეთაურებმა იტალიის ოფიცრების თანხლებით ინახულეს პომპეის გათხრა (პომპეა მიწის ძვრისაგან დაღუპული ქალაქია იტალიაში).

უახლოესი ქალაქის მმართველობამ გამართა საუზმე საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლისა და საბჭოთა გემების მეთაურთა საპატივცემულოდ. ნეაპოლის ქალაქის მმართველობამ გაუმართა მათ კონცერტი.

# პოლიტმეცადინეობის ოთხი საკითხი.

### 1. ბინის საკითხი.

ჩვენი ნაწილებში მეტად მწვავედ სდგას ბინის საკითხი. პოლიტხელმძღვანელებს უხდებათ მეცადინეობის ჩატარება ასეულების საცხოვრებელ ბინებში, სადაც მოწყობილია ლენინის კუთხე. განა საკმარისია ლენინის კუთხე მთელი ასეულის სამეცადინეო ადგილათ?

ეს შეუძლებელია, ვინაიდან ჯარში უკვე ფეხი მოიკიდა კომპლექსიური მეთოდით პოლიტ—მეცადინეობამ. კომპლექსური მეთოდით პოლიტ მეცადინეობა მოითხოვს აუცილებლად ასეულის ჯგუფებად დანაწილებას ცოდნის და მიხედვით, რომლებისთვისაც აუცილებელი საჭიროა ცალ-ცალკე ბინები, ჯგუფის ხელმძღვანელები და სათანადო სასწავლო ნივთები, რათა ჩვენ შევძლოთ კომპლექსური მეთოდის გამოყენება და მისგან სარგებლიანობის მიღება. თუ ეს არ იქნა მოგვარებულ, მარტო მეთოდიკა ვერ გვიხსნის. ბინის შესახებ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში სახელწოდებით „სახელმძღვანელო პოლიტ საათის მეთოდიკისთვის" (პირველ და მეორე დივიზიის პოლიტ.-განყოფილების გამოცემაში) შემდეგ სწერია: „ბინის გამოძებნა ძალიან ადვილდება თუ ასეულში არის ისეთი „წითელი კუთხე, რომელსაც შეუძლია მთელი ასეული დაიტიოს" და მიგვითითებს აგრეთვე, რომ „ყველა პოლიტხელმა უნდა ეცადოს, რათა ასეთი კუთხე გაიჩინოს, რადგანაც ნარებზე მეცადინეობა უხერხულია რაც გინდ დიდად არ მოინდომოს პოლიტხელმაო". განა შესაძლებელია, როდესაც ასეული უნდა დაიყოს ჯგუფებად ცოდნის და მიხედვით და ამავე დროს ჯგუფი არ უნდა აღემატებოდეს ოცდა ხუთ ოცდა ათზედ მეტს.

ჩვენ ვიცით, როდესაც ასეულს ვანაწილებთ ჯგუფებად, შესაძლებელია მივიღოთ ორი-სამი ან კიდევ მეტი ჯგუფი, რომლებსაც ესაჭიროებათ ცალ-ცალკე სამეცადინეო ადგილები, რათა ერთი მეორეს ხელი არ შეუშალონ.

ამნაირად ჩვენ ვერ შევსძლებთ ასეულში მეცადინეობას ერთი „ლენინის კუთხით" ვინაიდგან ლენინის კუთხეში შეუძლია იმეცადინოს მხოლოდ ერთმა ჯგუფმა, დანარჩენ ჯგუფებს კი ესაჭიროება ცალკე სამეცადინეო ბინები.

### 2. აუდიტორიის დანაწილების შესახებ.

აუდიტორიის დანაწილების საკითხში ხშირად ხდება ასეთი მაგალითი: როდესაც უნდათ გაიგონ წ.-არმიელის ცოდნა და წითელ-არმიელები დაანაწილონ თანაბარ ცოდნის მქონე ჯგუფებად, ამისათვის მიმართავენ შემდეგ ხერხს: თუ ვის რა განათლება აქვს (რამდენი კლასის ცოდნა მიუღია) და ამ განათლების და მიხედვით ხდება დანაწილება ჯგუფებად, რასაც ხშირად შეცდომაში შეუძლია შეგვიყვანოს და, შესაძლებელია, რომელიმე ამხანაგი ისეთ ჯგუფში მოხვდეს, სადაც ვეღარაფერი გაიგოს და შესაძლებელი იმდენად მაღლა იდგეს მისი საერთო განვითარების დონე.

საერთოდ ჯგუფის განვითარების დონესთან შეფარდებით, რითაც ის ვერ კმაყოფილდებოდეს; ცხადია ასეთი გარემოება ხელს შეგვიშლის ჩვენი საერთო მიზნის მიღწევაში. შესაძლებელია წ. არმიელს ქონდეს ნაკლებ განათლაება, (კლასიკური) მაგრამ საერთო განვითარება მეტი ქონდეს ვინემ მის თანაბარ განათლების მქონეს ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ასეულებს ჯგუფებად განაწილების დროს.

რომ ნაკლები შეცდომები იქნეს დაშვებული და განაწილება იქნეს უფრო სწორი, ამისათვის პოლიტ-ხელი თავის ასეულში პირველ მეცადინობიდანვე უნდა ღებულობდეს სათანადო ზომებს, მან უნდა გაიგოს, შეისწავლოს პირველად მთელი ასეულის წ.-არმიელთა შემადგენლობა, რისთვისაც მან უნდა მიმართოს შემდეგ ხერხს: სანამ დაიწყებდეს სისტემატიურ მეცადინეობას, რამოდენიმე დღით ან კვირით განაწილებამდის უნდა აწარმოოს საუბარი წ.-არმ. ცოდნის გამორკვევის მიზნით.

ამ დროს განმავლობაში მან უნდა შესძლოს წ.-არმიელთა ცოდნის გამორკვევა და შემდეგ უნდა შეუდგეს ასეულის ჯგუფებათ განაწილებას.

მაისაია.

(გაგრძელება იქნება).

# სამხედრო საქმე

### მზადება ახალწვეულთა მიღებისთვის.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან არმიაში დაიწყება ახალგაზრდა ძალების შემოსვლა, რომელთა წინაშეც სდგას საკმაოდ ძნელი ამოცანა შეისწავლონ სამხედრო მეცნიერება, გახდენ წერა-კითხვის მცოდნენი და შეგნებული მეომარი-მოქალაქენი. უმეტესად ამ ამოცანის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ტაქტიკურად მიუდგება ძირითადი შემადგენლობა ახალგაზრდა წითელ-არმიელს სამხედრო ნაწილში მოსვლის პირველ ხანებში. პირველ შთაბეჭდილება წარუშლელი რჩება მთელ სიცოცხლეში. იგრძნობს რა თავისადმი ყურადღებასა და პატივით მოპყრობას უფროსებისაგან და დაინახავს რა იმავ დროს წესრიგს ყაზარმაში, ახალ წვეული ერთბაშად მიიღებს სწორ წარმოდგენას წითელ არმიაში სამსახურის შესახებ. ასეთი მოქცევა უეჭველია გამოიწვევს მასში ინტერესს სამხედრო ცოდნისადმი და სურვილს კარგად და წარმატებით შეისწავლოს სამხედრო საქმე. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძველ მოსამსახურეს შეეძლოს გაუზიაროს ახალს თავისი სამხედრო ცოდნა. აუცილებლად საჭიროა ისარგებლოს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით, რათა აუხსნას ახალწვეულს ამათუ იმ სამხედრო საგნის ან სამხედრო საკითხის მნიშვნელობა.

მაგალითად, ახალგაზრდები ასეულში მოსვლისას ღებულობენ თოფებს. პირველ ყოვლისა საჭიროა აუხსნას მათ, თუ როგორ უნდა შეინახონ და მოუარონ მათ, თუ რად სჭირდება მაშხანას განსაკუთრებული მოვლა, ხოლო შემდეგ უნდა მოუთხრო, თუ როგორ ხმარობენ მას ბრძოლაში (ცეცხლი, ხიშტი). ამნაირადვე ახალგაზრდები ეცნობიან ტყვიამფრქვევებს, გრანატებსა და ასეულში არსებულ სხვა საბრძოლო შეიარაღებასა და საჭურველს.

იმ თავითვე ახალგაზრდა წითელარმიელს უნდა ჩაენერგოს გულში აუცილებლობა მოუფრთხილდეს სახალხო ქონებას, რომელიც მიცემულია მასზე დროებით სახმარად ან და ჩაბარებული აქვს დასაცავად. აღმოფხვრილ უნდა იქნას ძველი ჩვეულება-ქონების გაყოფა „სახაზინოდ" და „საკუთარ" ქონებათ. დღეს უკვე არ არის „სახაზინო" ქონება, არამედ არის სახალხო, საერთო, და ქონების გაფუჭება და განიავება საზარალოა ხალხისთვის, მუშებისა და გლეხებისთვის.

ამრიგად ახალგაზრდა წითელარმიელი იმ თავითვე უნდა გაეცნოს სამხედრო საქმეს და ყოველ მხრივ უნდა ვეცადოთ განუვითაროთ ინტერესი მისდამი. თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ამის შესრულება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ რომ ძველი ნამსახური წითელ არმიელები და უმცროსი მეთაურები სათანადო სამხედრო მომზადებით იქნებიან აღჭურვილი, რომლებიც იქნებიან გინდ როგორც ახალგაზრდა წითელ არმიელთა მასწავლებლები გინდ როგორც მათი უფროსი ამხანაგები და რომლებსაც ხშირად მიმართავენ ახალგაზრდები ამა თუ იმ სამხედრო საკითხის ახსნა-განმარტებისათვის.

მომავალ ოქტომბრის თვისათვის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია შემდეგი მეცადინეობანი:

1. ახალგაზრდა წითელ არმიელთა მასწავლებლების მომზადება ლეგიონის სკოლა დამთავრებულთა რიცხვიდან და მასწავლებელთა მომზადება ძველ ნამსახურ და შედარებით კარგად განვითარებულ წითელ არმიელთაგან.

2. ლეგიონის სკოლასთან ვადის ზევით მსახურ უმცროს მეთაურთა შეკრება წინად მიღებულ სამხედრო—პოლიტიკურ ცოდნათა გასაახლებლად და გასაფართოვებლად.

3. ბოლოს მეცადინეობა დარჩენილ ძველ მსახურთა შორის (დღეში 4 საათი) წარსული სამხედრო სწავლის ნაცდურების შესავსებად და გასამეორებლად.

ყველაფერი ეს მისცემს საშუალებას როგორც უმცროს მეთაურს, ისე წითელარმიელს (ძველ მსახურს) სათანადოდ მოემზადოს ახალგაზრდების მისაღებად.

მაგრამ მარტო მომზადებულობა არ კმარა იმისთვის, რომ მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს ახალგაზრდა წითელარმიელში სამხედრო საქმეს.

უნდა შეეძლოს გადასცეს შენი ცოდნა მოსწავლეს, ხოლო ამისთვის კი პირველ ყოვლისა საჭიროა თვითონ აასრულო უნაკლოდ ყველაფერი, რასაც გასწავლის სამხედრო მეცნიერება.

თავისი ყოველდღიური მუშაობით, თავისი ყოველდღიური ქცევით უნდა უჩვენოს ახალგაზრდა მსახურს მისაბაძი წითელი მეომრის მაგალითი.

ამრიგად, ერთის მხრივ ძველ მსახურთა მიერ სამხედრო საქმის ცოდნა, ხოლო მეორეს მხრივ მისი პირადი მაგალითი—ყველაფერი ეს იქნება ის საფუძველი, რომელზედაც აგებულ იქნება ახალგაზრდა წითელი მეომრის საბრძოლო მომზადება.

მაშასადამე, საჭიროა დავაწყეთ მეცადინეობას, რათა ამ მოკლე დროში შევავსოთ ყველა შემთხვევითი ნაცდურები და სათანადოდ შევხვდეთ ახალ წვეულებს.

ვ.

# ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

## ჩვენც დავიწყეთ მანევრები.

**მე-5 ტერ-ლეგიონი.**

25 სექტემბერს, საღამოს, ლეგიონის ეზოში შესდგა ნაწილის მთელი შემადგენლობის საერთო კრება. მოხსენებით გამოვიდენ ლეგიონის მეთაური და სამხედრო კომისარი, რომლებიც დაწვრილებით შეეხენ მანევრების მნიშვნელობას და აგვიხსნეს თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით სამანევრო მოძრაობის დროს.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გავიგეთ, რომ 26 სექტემბერს, დილით ადრე გავემგზავრებოდით სოფელ №-ის მიმართულებით.

მეორე დილით არაჩვეულებრივი ხმაური და ყიჟინა გაისმოდა ლეგიონის ყველა ასეულებში. სათანადო ძახილის შემდეგ ყველა მოიზადებული იყო საჭირო იარაღებით. უკვე მზად ვიყავით წასასვლელად. ეზოში გამზადებული იყო საავტომო აგიტორთვალა, რომელშიდაც მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა შესაფერი ლიტერატურით და ლოზუნგებით, სოფლის ქოხ-სამკითხველოსათვის გადასაცემათ.

გაისმა უფროსის ბრძანება და ჩვენც გავემართეთ. იგრიალა სამხედრო ორკესტრმა, რომელსაც ხშირად სცვლიდა ჩვენი არმიელების მხედრული შეძახილი.

გავლა გვ ხდებოდა ვენახებში, ბაღებში და ბოსტნებში, მაგრამ გლეხის ნამუშევარს ყველგან ფრთხილად ვეპყრობოდით და იოტის ოდენა ზარალიც არ მიგვიყენებია. ამას შეგნებულად ასრულებდენ ჩვენი არმიელები.

სამხკორი **ცაცა.**

## სროლაში ვარჯიში ჩვენთან.

**მე-2 არტლეგიონი.**

24 სექტემბერს მე-2 საარტილერიო ლეგიონში დაიწყო სროლაში ვარჯიშობა. თითეული ბატარეია ცალცალკე აწარმოებდა ვარჯიშს 25 და 26 სექტემბერს. სროლაში გაწვრთნას დიდი ყურადღება ექცეოდა, რადგან სწორედ ამ დღეებში ჩვენმა ლეგიონმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო შეჯიბრში. თითეული არმიელი დიდი სიხარულით მოელის ამ დროს, ყველას უნდა გამოსცადოს თავისი ცოდნა.

წ. არმ. **ნავრუზაშვილი.**

## კითხვა პასუხების საღამო.

**მე-6 ლეგიონი.**

29 სექტემბერს მეცადინეობის გათავების შემდეგ კურსანტები დაპარებული ვიყავით კლუბის უფროსთან ჩვენი საკლუბო და სკოლის გარეშე მუშაობის შესაფასებლად გაიმართა საერთო დახასიათება, სკოლის გარეშე მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

შემდეგ კლუბის უფროსის და მე-8 ასეულის პოლიტხელის ინიციატივით გადავსწყვიტეთ ჩაგვეტარებია კითხვა-პასუხის საღამო. ჩვენ მაშინვე შევუდექით სათანადო მზადებას, ვინაიდან დრო ცოტა გვქონდა.

გაისმა შეკრების ნიშანი და ნაწილის მორიგემ გადასცა ყველა დღიურებს წაეყვანათ ხალხი კლუბში. პირველ-ყოვლისა საჩქაროდ, მოუმზადებლად კურსანტ ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა ხალხური სიმღერები. იმღერეს რევოლიუციონური და ხალხური სიმღერები. შთაბეჭდილება ძლიერ კარგი დარჩა ხელდახელ შედგენილ გუნდიდან.

შემდეგ ამოირჩიეს საერთო ცნობათა ბიურო რომელმაც დაიკავა თავისი ადგილი. უკრავდა სკრიპკა, საღამოს შინაარსი ასეთი იყო: დაწერილი იყო პატარ-პატარა ქაღალდის ნაჭრებზე კითხვები.

ქაღალდის ამღები დაიმალებოდა, დამალავდენ ამ კითხვასაც, შემდეგ გამოუძახებდენ ტერ-არმიელს.

მისი გამოსვლის-თანავე სკრიპკაზე დაიწყებდენ დაკვრას თუ არმიელი მიუახლოვდებოდა იმ ადგილს სადაც იყო დამალული ხსენებული კითხვა, სკრიპკაზე უნელებდენ დაკვრას და თუ საგრძნობლად მიიტანდა ექვს, სულ შეწყვეტდენ დაკვრას და ასე პოულობდა ტერ-არმიელი თავის გასაცემ პასუხს.

კითხვები ბევრი იყო და მრავალი ტერ-არმიელი იღებდა მონაწილეობას. მათ ძლიერ მოეწონათ ასეთი საღამო.

და მოთხოვეს ხშირად მოწყობილიყო ასეთი კითხვა საუბრის ჩატარება.

კითხვები შედარებით მოგრძელოები იყვნენ, მაგრამ ტერ-არმიელები სათანადო პასუხს აძლევდენ.

იმედია ჩვენი პოლიტხელები და კლუბის უფროსი ხშირად გამართავენ ასეთ საღამოს და დააკმაყოფილებენ არმიელთა სურვილებს.

სამხკორი **ქინქლა.**

## კურსანტები 5-ე ლეგიონში.

6 სექტემბრიდან 5-ე ლეგ. მივლინებული კურსანტები შეუდგენ მათზე დავალებულ საქმის შესრულებას. ისინი დანაწილებული იქნენ ასეულებში. წითელ-არმიელებთან — ინსტრუქტორებათ—ზოგი კი უნცროს მეთაურების თანამდებობაზე.

დღიდან მეცადინეობის დაწყებისა, ისინი ენერგიულად აწარმოებენ მეცადინეობას სამხედრო და პოლიტიკურ დარგში, რომელიც კარგ შედეგებს იძლევა.

კურსანტებს მეცადინეობის ჩატარებაში საჭიროების დროს დახმარებას უწევდენ მეთაურები.

ოცი დღის განმავლობაში გაიარეს და დამაკმაყოფილებლად შეითვისეს კიდევაც ყველა ის, რაც საჭიროა მებრძოლისთვის ბრძოლის ველზე. თუმცაღა ზოგიერთ შემთხვევაში მათ უჭირდათ გავლილის შეთვისება მაგ. სროლის საქმის ძიების—მზვერავის — მოკავშირისა და სხვა მოვალეობების, მაგრამ წყობილება და წესდება კი კარგათ შეისწავლეს.

კურსანტები აგრეთვე თავიდანვე ჩაებენ პოლიტ-მუშაობაში და ლენინის კუთხეებში. დაარსეს სხვა და სხვა ჯგუფები, როგორიც არის მკითხველთა, მომღერალთა, მოცეკვავეთა და სხვა რომლებსაც მიუჩინეთ ხელმძღვანელები. გაზეთის ხმამაღალი კითხვას სისტემატიურად ვატარებთ ყოველ დღე. ვაწყობთ აგრეთვე ხშირად ოცეულებს შორის პოლიტ და სამხედრო ცოდნაში შეჯიბრს.

სამხკორი **შაქრო.**

## მოგვეცით აბანო.

**I-ლი ცალკე მესანგრეთა ასეული.**

თითქმის ერთი თვე შესრულდება, რაც მესანგრე ასეულის არმიელები აბანოში არ ყოფილაიე ყოველ დღე განწესებაში ვიმყოფებით და ვეღარ მოგვიცლია აბანოსათვის. ჭუჭყი კი ძლიერ გვაწუხებს. საჭიროა ჩვენი უფროსები მიიღებდენ შესაფერ ზომებს და მოგვცემდენ საშვალებას, რომ ჭუჭყი მოვიცილოთ.

ასე გაგრძელება შეუძლებელია. მოგვეცით აბანო.

წ.-არმ. **უხსაძე.**

# ახალწვეულების მოლოდინში

## ვემზადებით ახლების შესახვედრად.

**3-ე ლეგიონი.**

გრძელ ვადიან შვებულებაში ჩვენმა ლეგიონმა უკვე გაუშვა ამხანაგების მთელი რიგი. ბანაკიდან ჩამოსვლის შემდეგ გაძლიერებული მუშაობა სწარმოებდა შვებულებაში მიმავალ ამხანაგების გასაცილებლად, რაც შესაფერად იქნა შესრულებული. ჩვენს სოფლებს ლეგიონმა ამასთანავე სათანადოთ მომზადებული ამხანაგები დაუბრუნა, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ სოფლის მომზადების საქმეში.

მეორე მხრივ ლეგიონი გაფაციცებით ემზადება ახალწვეული არმიელების მისაღებათ, რომლებიც მოეშურებიან ჩვენი ყაზარმისაკენ სამხედრო—პოლიტიკური და სხვა ცოდნათა მისაღებათ.

ყაზარმა ყოველმხრივად ემზადება მათ შესახვედრად. ძველი წითელ-არმიელებიც დიდი სიამოვნებით ველოდებით იმ წუთებს, რომ შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოთ ახლად მოსულებს.

წ. არმ. **ს. პაპიაშვილი.**

## მეტი ყურადღება გაზ. მოთავსებულ კორესპონდენციებს.

**1-ლი საკავშირო.**

სამწუხაროდ უნდა ღინიშნოს, რომ ჩვენი კორესპოდენტების შენიშვნები ბევრ შემთხვევებში თავის მიზანს ვერ აღწევენ და რაც უმთავრესია ვერავითარ გამოხმაურებას ვერ ხვდებიან, ან და ძალიან დაგვიანებით, ვისგანაც ეს საჭიროა.

ეს რომ ასეა, ამის დამამტკიცებელი საბუთები თითქმის ყველა ნაწილებში მოიპოვება, მაგრამ უფრო ნათელსაყოფად, მოვიყვანოთ ისინი 1 ცალკე საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან ზაფხულიდან დღევანდლამდე. აი ის სხვა და სხვა კორესპონდენციები, რომელთაც არავითარი გამოხმაურება არ ღირსებიათ: 1) კორესპონდენცია ამხ. ნინუაკუთხელის: ზაფხულის პერიოდში ნაწილში დარჩენილ წითელ-არმიელთათვის გაზეთების გამოწერის შესახებ. 2.) კორ. ამავე საკითხის შესახებ: ამხ. პირელისა. 3.) კორ. ამხ. ნინუაკუთხელის: ზაფხულის პერიოდში ნაწილში დარჩენილ წ. არმიელთათვის საზაფხულო ტანსაცმელის მიცემის შესახებ. 4.) კორეს. მისივე: ნაწილში ადუღებული წყლის შესახებ. 5 ) კორ. ამხ. კლდისძირელის: ბანაკათ ყოფნის დროს ჩვენი ასეულისა და მესანგრეთა გაერთიანებული კოოპერატივის უვარგისობის შესახებ.

კიდევ შეიძლებოდა დასახელება, მაგრამ ესეც საკმარისია ჩვენი პატარა ნაწილისათვის და ისიც ასე მოკლე დროს განმავლობაში. უნდა ვიფიქროთ რომ სხვა ნაწილებშიაც, თუ უარესი არა, ასეთი სურათი მაინც იქნება... რა მნიშვნელობა აქვს კორესპონდენციას, თუ ის გაზეთის ფურცლებიდან განადგებას ვერასოდეს ვერ ეღირსება? საჭიროა მეტი ყურადღებით მოპყრობა კორესპონდენციებისადმი, რომ სამხკორის კანონიერი შენიშვნა არ დარჩეს ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა რაც სამართლიანად გულს უცრუებს თითეულ სამხკორს, სწეროს რაიმე თავისი ნაწილის ცხოვრების შესახებ.

სამხკორი **ვ. კუნჭულია.**

## კლუბის დარბაზში ვერ ვეტევით.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ ძლიერ გაცხოველდა მუშაობა. ამოძრავდენ წრეები, საკლუბო მუშაობა გამოცოცხლდა, იმართება ხშირად წარმოდგენები—შესაფერი რევოლიუციონური პიესების დადგმით. წარმოდგენებს ყოველთვის ბლომად ესწრებიან, როგორც ჩვენი, ისე სხვა ნაწილების წ. არმიელები. წარმოდგენაზე ხშირად დაიარებიან აგრეთვე ახლო მახლო მცხოვრებლები და მუშები.

სამწუხაროდ, კლუბის დარბაზი გვაქვს ძლიერ პატარა და ყველას ვერ აკმაყოფილებს. ბევრი მსურველები გარედ რჩებიან, რადგან 150 კაცის მეტი ვერ თავსდება დარბაზში.

დარბაზის გადიდება გათვალისწინებულია, ამისათვის სათანადო გეგმაც კი წამოაყენა კლუბის უფროსმა, მაგრამ ჯერ მუშაობას არ შესდგომიან.

კარგი იქნება მალე დაიწყობოდეს მუშაობა, და თითონ ჩვენ წ. არმიელები მოვკიდებთ ხელს მუშაობას, რადგან კლუბის გადიდება ჩვენთვის აუცილებელია.

სამხკორი **ჩახაია.**

## მიაქციეთ ყურადღება.

პირველი ლეგიონის სამნეო გუნდში არის იარაღის სახელოსნო. ერთ პატარა ოთახში მოწყობილია ქურა და სწარმოებს მუშაობა, მაგრამ ძლიერ გვიშლის ხელს ოთახის მოუწყობლობა. სახურავი თითქმის ნახევარზე ახდილი აქვს. წვიმის დროს აუარება წყალი ჩადის სახელოსნოში და შეუძლებელი ხდება მუშაობა. ოთახში შენახული მასალები იჟანგება და ლპება ამის გამო.

საჭიროა ყურადღებას მიაქცევდენ ამას და შეგვიკეთებდენ ოთახს.

სამხკორი **ცეცხლი.**

## ნუ მისცემთ ნებას.

**1-ლ ლეგ. მეთაურების საყურადღებოთ.**

ხშირად არის შემთხვევა, რომ ჩვენი ნაწილის არმიელები გადაიცვამენ ჩვეულებრივ ტანისამოსს და ასე უფორმოთ დაიარებიან ქალაქში. წითელ არმიელს ასეთი საქციელი არ შეშვენის, და შემდეგ თითეულმა ამხანაგმა ნება არ უნდა მისცეს თავს დაარღვიოს საერთო ბრძანება, სამხედრო დისციპლინა და უფორმოთ იაროს.

საჭიროა მეთაურებიც ყურადღებას მიაქცევდენ ასეთ მოვლენებს და ნებას არ მისცემდენ იმ ამხანაგებს ასე მოიქცენ.

სამხკორი **მელა.**

## საჭიროა წესრიგი!

**1-ლ არტლეგ. 2-რე საგაუბიცო ბატარეა .**

ბატარეიის სამზარეულოში დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი, რომელსაც ჰქმნიან თვით მეთაურები და ზოგიერთი წითელ არმიელები. დამზადდება თუ არა სადილი მეთაურები მიდიან და თავისი ნებით იღებენ სადილს. მათი საქციელი ზოგიერთმა არმიელებმაც გადაიღეს და ამნაირად სამზარეულოში მთელი ალიაქოთი ტრიალებს.

ნეტა ვიცოდეთ რას შვება სამნეო დამხმარე კომისია? რად არ მოუღებს ბოლოს ამ უწესრიგობას? ამბობენ თვითონ ამ კომისიის წევრებიც იღებს მონაწილეობას ამ უწესრიგობაში და ცხადია წესრიგის დამცველი ვინღა იქნება.

წ. არმ. **ბ—ლი.**

# პარტიული ცხოვრება

**მეექვსე ტერ-ლეგიონის მეთერთმეტე კომუჯრედი.**

25 სექტემბერს შესდგა ლეგიონის მეთერთმეტე კომუჯრედისა და კომკავშირის კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 1. მე-14-ე პარტ-კონფერენციის რეზოლიუციების მოკლე მიმოხილვა, 2. სამწყობრო მეცადინეობა ასეულში. 3. განცხადებების განხილვა 4. მიმდინარე საკითხები.

1-ლი საკითხის შესახებ მოხსენება დაევალა ამხანაგ არაელოვს, რომელსაც უნდა გაეცნო კრებისათვის 14 პარტ-კონფერენციაზე შემუშავებული საკითხები, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, კრებამ საჭიროთ სცნო მოხსენება გადაედო მომავალ კვირისთვის.

მეორე საკითხზედ მოხსენება გააკეთა ამხანაგ ხეცურიანმა; ამხ. ფართოდ შეეხო თუ როგორ მიმდინარეობდა ასეულის მეცადინეობა ამ სამი თვის განმავლობაში.

გამოირკვა: მუშაობა იმდენად ნაყოფიერი ყოფილა, რომ მომავალ შეკრებისთვისაც არ დაგვჭირდება განვლილის განმეორება.

შემდეგ კრებამ განიხილა ამ ხვედელიძის განცხადება და ავტობიოგრაფია, რის შემდეგ როგორც საიმედო და პატიოსანი პიროვნება, დაადგინა მიღებული იქმნეს პარტიის კანდიდატათ. მიმდინარე საკითხებში არაფერი აღმოჩენილა.

ტერკორი გ. ხიზანაშვილი.

# ახალი ამბები.

წყალში დახრჩობასთან მებრძოლ პუნქტს ვერის ბორანთან ზაფხულის განმავლობაში გადაურჩენია წყალში დახრჩობისაგან 32 მოქალაქე.

— აბრეშუმის ორ ქარხნის მოსაწყობათ მომავალ წელში სასოფლო-სამეურნეო ბანკი გასცემს 20 ათას მანეთს.

— დამზღვევი სალაროები წელს შრომის ინვალიდების შენახვაზე დახარჯავენ 151.629 მანეთს.

— მეტყავეთა ყრილობა. სრულიად საქართველოს მეტყავეთა ყრილობა მოწვეულია ტფილისში 1-ლი ნოემბრისათვის.

— **წითელი თეატრი.** ქალაქის აღმასკომმა დაამტკიცა წითელი თეატრის რეპერტუარი მომავალი სეზონისათვის.

— **ავიაქიმიის** საზოგადოების უჯრედების მდივანთა სასწრაფო კრება შესდგება დღეს ავიაქიმიის საზოგადოების შენობაში.

**ხელოვნება.**

წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში დღეს გაიმართება კინო „ნიუ-იორკის საიდუმლოებანი.“

## პასუხად ამხ. ნაპერწკალს.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს № 217-ში მოთავსებული იყო ამხ. ნაპერწკალის წერილი მე-2 არტლეგიონის შესახებ. ამხანაგის ცნობის წინააღმდეგ უნდა შევნიშნოთ, რომ ლეგიონში არავითარი ცხენების საკვების გაფუჭებას ადგილი არ ჰქონია და არც დღეს აქვს.

მე-2 მართალია ისიც, რომ წყლის მოსატანი ქესტის „ბაკები“ ხშირათ იმტვრევა, მაგრამ იმ წამსვე კეთდება, როგორც საშუალება და დრო გვაძლევს ამის შეძლებას.

ნაპერწკალს, როგორც ეტყობა, ჰგონია, რომ სამნეო ნაწილის გამგემ ყოველ დღე უნდა დაათვალიეროს ბატარეებში „ბაკები“ და კოვზები. ბატარეებში გაცემულ ქონების პატრონი და პასუხისმგებელი არის თვით ბატარეია და მე მხოლოდ პერიოდულათ უწევ რევიზიას მათ; და თუ ბატარეაში ბაკი გატყდა და თავის დროზე არ არის გაკეთებული, ეს ბატარეის ბრალია, რომელმაც თავის დროზე არ მაცნობა მე.

რად აგიწყდება ამხ. ნაპერწკალს ის, რომ ლეგიონი ამ ჟამად ბანაკად არის გასული და იქ არ არც სათივე და არც საქერი საწყობი არ აქვს, და თუ არა გარეთ, მაშ სად უნდა დაიწყოს მთელი ლეგიონის ცხენებისათვის საჭირო აუარება საკვები. ეს აუცილებლობით არის გამოწვეული და არა დაუდევრობითა და უყურადღებობით.

მე-2 არტლეგ. თავის თანაშემწე სამნეო დარგში

**გ. ლორთქიფანიძე.**

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ჩემი და მივაბარე მკერავ ქალს ხელობის შესასწავლად. გადავიხადე 15 მან. ხელობის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა არ მისცა სათანადო მოწმობა ჩემს დას. გთხოვთ მიპასუხოთ ვის მივმართო ამის შესახებ?

წ. არმ. ლ. ფარ—ბელი.

**პასუხი.** მიმართედ თვით მომუშავეთა კავშირს.

**კითხვა.** ჩვენთან ერთად გამოწვეულებს პირველ ლეგიონიდან ანთავისუფლებენ, ჩვენ მე-6 ლეგიონის არმიელებს კი არა. გთხოვთ გვიპასუხოთ როდის გაგვანთავისუფლებენ?

წ. არმ. **შონია.**

**პასუხი.** თქვენ, როგორც ტერარმიელები განთავისუფლებულნი იქნებით მეორე რიგში.

**კითხვა.** ჯარში გამოწვევის გამო სახლი დავტოვე უპატრონოთ. შემიძლია თუ არა მივიღო მოკლე ვადიანი შვებულება ოჯახის დასათვალიერებლად?

წ. არმ. **ლევან ქ.**

**პასუხი.** მიმართედ თქვენს უფროსს.

**კითხვა.** ჩვენ ვმსახურებთ სამხედრო ლაზარეთში. ჩვენთან გამოწვეულები გაანთავისუფლეს და ჩვენ კი არა. როდის გაგვანთავისუფლებენ?

**პასუხი.** გაგანთავისუფლებენ მეორე რიგში.

**კითხვა.** ვარ ტერარმიელი, სამსახური და ჯამაგირი მენახება თუ არა?

ტერარმ. **დგ—ლი.**

**პასუხი.** ადგილი გენახებათ. ჯამაგირის 2—მესამედს მიიღებთ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში.

**კითხვა.** მეკუთვნის თუ არა გადასახადის გადახდა, როგორც წითელი არმიელი?

წ. არმ. **გენგელაშვილი.**

**პასუხი** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა იხდით ნახევარს. თუ უკიდურესი ღარიბი ხართ, გამანაწილებელ კომისიას შეუძლია გაგანთავისუფლოს სრულიად.

**კითხვა.** ვის უნდა მივმართო ოჯახური მდგომარეობის შესახებ გასანთავისუფლებლად?

**პასუხი.** უნდა მიმართოდ ტერსამმართველოსთან არსებულ მთავარ კომისიას.

**კითხვა.** სახლში არავინ მყავს. ჰირნახული მოუკრეფავი დამრჩა. ვის მივმართო დახმარებისათვის?

**ცვალებადი გვეტაძე.**

**პასუხი.** მიმართედ თქვენს უმფროსს, რომელიც აცნობებს აღმასკომს, რათა ის დაეხმაროს თქვენს ოჯახს.

**კითხვა.** სახლში დავტოვე შრომის უნარ მოკლებულნი, ღრმად მოხუცებულნი მშობლები. ვინ უნდა გაუწიოს მათ დახმარება?

წ. არმ. **ერამეიშვილი.**

**პასუხი.** აღმასკომი მოვალეა მათ დაეხმაროს, როგორც წითელ არმიელის ოჯახს.

**კითხვა.** შემიძლია თუ არა ვიარო საზოგადოებრივო კურსებზე?

**ვ. ვაშაკიძე.**

**პასუხი.** შეგიძლიათ, უფროსის ნებართვით და თუ ეს არ ავნებს თქვენს სამსახურს.

**კითხვა.** ვარ გამოწვეული 1924 წ. მაისში, ვარ ოჯახის მარჩენალი, როდის დაგვითხოვენ და რა დახმარება აღმოეჩინება დედაჩემს?

წ. ა, **ვაშაყმაძე.**

**პასუხი.** გაგვიშვებენ უვადო შვებულებაში მეორე რიგში. დედას დახმარება უნდა აღმოუჩინოს ადგილობრივ ხელისუფლებამ, თანახმად არსებულ დეკრეტებისა და განკარგულებების.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**


ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

**სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ 1925 წ. 1 ოქტომბრიდან შემოღებული იქნება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შემდეგი

**ზამთრის ცხრილი**

**ცხრილი სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ცხრილი**

**1925 წ. 1 ოქტომბრიდან მატარებლები, რომლებიც გადიან თბილისიდან**

| | | |
|---|---|---|
| ჩქარი მატ. № 1 გადის მოსკოვში 23 ს. 55 წ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით | მიდის მოსკოვში 16 ს. 45 წ. | პარასკ. და კვირაობ. |
| „ მატ. № 1 „ ლენინგრ. 23 ს. 55 წ. კვირაობ. | „ ლენინგრადში 10 ს. 40 წ. | პარასკეობით |
| საფოს. „ № 3 „ როსტოვში 9 ს. 25 წ. ყოველდ. | „ როსტოვში 5 ს. 30 წ. | ყოველდღე |
| „ „ № 3-ე გად. ჯულფაში 18 ს. 00 წ. „ | „ ჯულფაში 22 ს. 25 წ. | „ |
| საფ. „ № 4 „ ბათომში 22 ს. 55 წ. „ | „ ბათომში 13 ს. 00 წ. | „ |
| საფ. „ № 3 კახ. გად. თელავ. 23 ს. 25 წ. „ | „ თელავში 7 ს. 30 წ. | „ |
| სამგზ. „ № 7 გად. ბაქოში 14 ს. 40 წ. „ | „ ბაქოში 7 ს. 15 წ. | „ |
| „ „ № 8 „ ბათომში 16 ს. 30 წ. „ | „ ბათომში 4 ს. 35 წ. | „ |
| „ „ № 10 „ ფოთში 20 ს. 00 წ. „ | „ ფოთში 9 ს. 35 წ. | „ |
| „ „ № 16 „ ხაშურში 7 ს. 50 წ. „ | „ ხაშურში 12 ს. 25 წ. | „ |
| „ „ № 20 „ ბორჯომში 15 ს. 00 წ. „ | „ ბორჯომში 21 ს. 05 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ. № 21 „ ბაქოში 19 ს. 20 წ. „ | „ ბაქოში 23 ს. 55 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ. № 22 „ ბათომში 0 ს. 15 წ. „ | „ ბათომში 22 ს. 25 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ. № 21-ე „ ერევანში 7 ს. 35 წ. „ | „ ერევანში 8 ს. 10 წ. | „ |
| საბ.-სამგ. მ. № 21-კახ. გად. წნორ-წყ. 9. ს. 00 წ. „ | „ წნორის-წყალში 17 ს. 55 წ. | „ |

**მატარებლები, რომლებიც მოდიან ტფილისში**

| | | |
|---|---|---|
| ჩქარი მ. № 2 გამოდის მოსკოვიდან 13 ს. და 10 წ. სამშაბათ. და ხუთშაბათობით | მოდის ტფილისში 5 ს. 45 წ. | შაბათობით და ორშაბათობით |
| „ „ № 2 ლენინგრადიდან 23 ს. 00 წ. კვირაობით | „ „ 5 ს. 45 წ. | პარასკევობით |
| საფოსტ. მ. № 4 როსტოვიდან ყოველდღე 23 ს. 50 წ. | „ „ 21 ს. 05 წ. | ყოველდღე |
| „ „ № 3 ბათომიდან „ 17 „ 00 „ | „ „ 7 ს. 40 წ. | „ |
| „ „ № 4-ე ჯულფიდან „ 6 „ 35 „ | „ „ 11 ს. 30 წ. | „ |
| „ „ № 4-კახ. თელავიდან „ 9 „ 30 „ | „ „ 17 ს. 50 წ. | „ |
| სამგზ. „ „ მ. № 7 გამ. ბათომიდან ყოველდღე 0 ს. 15 წ. | „ „ 13 ს. 10 წ. | „ |
| „ „ № 8 ბაქოდან „ 21 ს. 15 წ. | „ „ 14 ს. 50 წ. | „ |
| „ „ № 9 „ ფოთიდან „ 15 ს. 45 წ. | „ „ 5 ს. 30 წ. | „ |
| „ „ № 15 „ ხაშურიდან „ 18 ს. 30 წ. | „ „ 20 ს. 45 წ. | „ |
| „ „ № 19 „ ბორჯომიდან „ 0 ს. 45 წ. | „ „ 6 ს. 50 წ. | „ |
| საბ. სამ გზ. მატ. № 21 გამ. ბათომ. „ 5 ს. 10 წ. | „ „ 3 ს. 35 წ. | „ |
| „ „ № 22 გამ. ბაქოდ. „ 7 ს. 00 წ. | „ „ 13 ს. 15 წ. | „ |
| „ „ მატ. № 22-ე გამ. ერევნიდან „ 21 ს. 15 წ. | „ „ 22 ს. 00 წ. | „ |
| „ № 22. კახ. და წნორის-წყლიდან „ 10 ს. 35 წ. | „ „ 6 ს. 10 წ. | „ |

**შენიშვნა:** 1) მატარებლების გასვლა და მოსვლა ნაჩვენებია მოსკოვის დროის მიხედვით (24 საათის ანგარიშით); მოსკოვის დრო ადგილობრივი დროს ჩამორჩება ერთი საათით. 2) დამატებითი ჩქარი მატარებელი №1 და № 2 მოსკოვი—ტფილისი პირველად მოვა მატ. № 2 ტფილისში ზამთრის ცხრილის მიხედვით შაბათს 10 ოქტომბერს და უკან გაია ტფილისიდან მოსკოვში მატ. № 1 ორშაბათს 12 ოქტომბერს და სხვა აღნიშნულ დღეებში. 3) მატ. №№ 9 და 10-თან ყოველდღე დადის 3 ვაგონი პირდაპირ ტფილისიდან ქუთაისში. 4) ზამთრის ცხრილზე გადასვლის გამო 30, სექტემბერს მატ. № 10 ტფილისიდან ფოთში გავა ახალი ცხრილის მიხედვით და მატ. № 22 ტფილისიდან ბათომში იმავე 30 სექტემბერს უქმდება და ეს მატარებელი გავა 1 ოქტომბერს ახალი ცხრილის მიხედვით. 5) სადგურებს შორის არსებულ ბაქანებზე გაჩერება ტფილისიდან ხაშურამდე უბარგო მგზავრების ჩასაჯდომათ და ჩამოსახტომად, იქნება მხოლოდ მატარებლებს, №№ 15, 16, 19 და 20 დანარჩენ მატარებლებს ამ უბანში ბაქანებზე გაჩერება არ ექნებათ. 6) რბილ ადგილებიანი ვაგონები მიბმული იქნება შემდეგ მატარებლებზე: №№ 1 და 2 თბილისი-მოსკოვი-ლენინგრადი, №№ 3 და 4 თბილისი-როსტოვი, №№ 3 და 4—თბილისი-ჯულფა №№ 3 და 4—ტფილისი-ბათომი და 7 და 8—თბილისი-ბაქო და თბილისი-ბათომი. ყველა ამ მატარებლებში რბილი ადგილები დანომრილია—დასაწოლად, ხოლო მატარებლები № 3 და 4 თბილისი-თელავი №№ 9 და 10 თბილისი-ფოთი და №№ 19—20—თბილისი-ბორჯომი, რბილი ადგილები დანაწილებულია დასაჯდომად.


ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.